არარეგისტრირებულ მოძრავ ნივთებზე იძულებითი აღსრულების განხორციელების პრაქტიკა და მისი სამართლებრივი ანალიზი

დავით ტატიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ელისაბედაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგიტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ტატიშვილი

თარიღი: 22.06.2018

აბსტრაქტი

ნაშრომში დეტალურად განხილულია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სააღსრულებო წარმოების ეტაპზე განსახორციელებელი სააღსრულებო მოქმედებები, კერძოდ, მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა და ქონებაზე ყადაღის დადება. ნაშრომში ყურადღება გამახვილებბულია მოვალის კუთვნილ არარეგისტრირებულ მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადების საკანონმდებლო საფუძველზე და პრაქტიკაში დამკვიდრებულ ფორმაზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიში არის ზოგადი ჩანაწერი მოვალის კუთვნილი არარეგისტრირებული მოძრავი ნივთების მოძიების შესახებ, რაც განაპირობებს სააღსრულებო წარმოების არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობას. ამ შემთხვევაში ხდება ნორმის სხვადასხვა ფორმით განმარტება და ინტერპრეტაცია.

სააღსრულებო წარმოების პროცესში პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მოვალის საცხოვრებელი მისამართის დადგენა. საცხოვრებელი მისამართის დადგენის პროცესში შესაძლოა მოხდეს იმ პირის ქონების დაყადაღება, რომელიც არ წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების მხარეს. ვინაიდან კანონი არ გვაძლებს კონკრეტულ განმარტებას მოძრავ ნოვთებზე ყადაღის დადების პროცედურებთან დაკავშირებით, პირს უწევს საკუთარი დარღვეული უფლება დაიცვას სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გვაძლევს მნიშვნელოვან განმარტებას ბინაში არსებული მოძრავი ნივთების კუთვნილებასთან დაკავშირებით, მაგრამ მხოლოდ სასამართოს განმარტება არ არის გამოსავალი პირის უფლებების დასაცავად. აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია, რათა დაცული იყოს, როგორ სააღსრულებო წარმოების მხარეების, ასევე მასში მონაწილე სხვა პირების უფლებები და უფლებადარღვეულ პირს არ უწევდეს საკუთარი უფლების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვა.

საკვანძო სიტყვები: სააღსრულებო წარმოება, იძულებითი აღსრულება, ყადაღა, არარეგისტრირებული მოძრავი ნივთი, მოვალის ქონების მოძიება, საკუთვნებელი

Abstract

In this work the enforcement proceedings to be executed at the enforcement stage for execution of court decisions are discussed thoroughly. In particular, research of the debtor's property and sequestration of property are reviewed. The work focuses on the legal basis of sequestration of unregistered movable items belonging to the debtor and on the form of practical use of the above-mentioned legal measure. There is a general recording in the law of Georgia about enforcement proceedings on finding the unregistered movable items that belong to the debtor, which leads to the heterogeneous practices of enforcement proceedings. In that case different interpretations and explanations of the norm are given.

The determination of the debtors address is a problematic issue in the enforcement process. In the process of determining the address of the debtor, the property of the person could be sequestrated, that is not a party of the enforcement process. Since the law does not provide us with a specific definition of the sequestration of movable issues, the person is forced to protect his violated rights with help of the court. The practice of the Supreme Court of Georgia gives us an important definition regarding the ownership of movable items in the apartment, but only the commentary given by the court is not enough for proper protection of the persons rights. A relevant legislative regulation is needed, in order to protect the parties of the enforcement proceedings and other persons that also take part in the enforcement process. The person whose rights have been violated, should not be forced to appeal to the court for the protection of his rights.

Crucial words: Enforcement proceedings, forced enforcement, sequestration, unregistered movable items, finding the property of the debtor, appurtenant.